



ბორჯომი

24 ნოემბერი
ხუთშაბათი
2022 წელი
№48 (9258)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

გულანდლი დიალოგი მუნიციპალიტეტის მერიასი

18 ნოემბერს საზოგადოება „ბორჯომელების“ და საზოგადოებრივი დარბაზის გამგეობის წევრები შეხვედრის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ **ოთარ არბოლიშვილს**. შეხვედრის მიზანი გახლდათ საზოგადოების დიდი დაინტერესება, გაცნობოდნენ საანგარიშო წელს მერიის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს და ესაუბრათ მომავალ 2023 წლის პერსპექტიულ გეგმებზე. საუბარი მეტად გულთბილ, ურთიერთგაგების, ბორჯომის მუნიციპალიტეტისადმი დიდი სიყვარულის, პატივისცემის ნიშნით და სამომავლო პერსპექტიული განვითარების სულისკვეთებით მიმდინარეობდა.

შეხვედრაზე საზოგადოება „ბორჯომელების“ თავმჯდომარემ **ვალერიან ლომიძემ** მრავალმხრივი პრობლემური საკითხების ჩამოთვლამდე დადებითად შეაფასა მერიისადმი ადრე შეხვედრიდან განვილი რვა თვეში გამოთქმული შენიშვნების და წინადადებების შესასრულებლად გადადგმული ნაბიჯები.

დადებითად შეფასდა ბორჯომის საბატიო მოქალაქეებისათვის სამკურნალო თანხის გამოყოფის, ასევე დადებითად გადაწყდა, საზოგადოების მოთხოვნით, ახლადგასხნლი სკვერებისათვის ბორჯომის წინაშე დამსახურებული პიროვნების მიხედვით თვითნებური და ზურაბ დოიჯაშვილის სახელობის მინიჭების საკითხი, ხაზი გაესვა „ბაკურნიანის განვითარების სააგენტოს“ მიერ საკურორტო დაბაში განხორციელებულ წარმატებული პროექტების ხორცშესხმას და სხვა.

ამასთან საზოგადოების წარმომადგენლებმა არაერთი მტკივნეული პრობლემა ჩამოთვალეს, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ქალაქს და მთლიანად მუნიციპალიტეტს კიდევ უფრო განვითარებას.

გადაწყვეტილ პრობლემათა შორის ხაზგასმით ითქვა, რომ ჭიანჭურდებ ტრანსპორტის მოძრაობის დარეგულირების მიზნით პარკინგის მოწყობა, ახალი თავსატეხი გაუწყნდა მერიას ე.წ. კვადროციკლების უსაშველოდ მომრავლების გამო, კვლავ მოუგვარებელია ქალაქში გარე ვაჭრობა, სეროზულ პრობლემად რჩება ქალაქისათვის გამწვანების ნაგებობების არ არსებობა, ასე თივე მდგომარეობაა ბაკურნიანში.

მთელ რიგ დასახლებებში დაუმთავრებელია წყალსადენების ქსელის მშენებლობები, ასევე დაუმთავრებელია მდინარე მტკვრის ნაპირსამაგრი კედლების მშენებლობები ახალშენში და ახალ უბანში. სერიოზული პრობლემები იქმნება მიმდინარე ტრალი-

ვრების გადაადგილებაში. კვლავ მოუგვარებელია მანანალა ძაღლების საკითხი, ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენილი მუნიციპალიტეტის შვიდი სოფლის მოსახლეობა. ტურიზმის განვითარებას ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების და ისტორიული ძეგლების რესტავრაცია და აღდგენა (გოგის ციხე, რომანოვის სასახლე, ყოფილი საკურორტო დარბაზი, ისტორიული თორი, ნეძვი, კვირიკე და სხვა).

ყურადღება გამახვილდა მშენებელთა უხარისხოდ აშენებულ და გაკეთებულ ობიექტებზე, ოცდაათი წლის წინათ გაყიდულ ობიექტები, რომლებიც დღემდე არ აღდგენილა და მესაკუთრეები ალბათ, არც აპირებენ მათ ამოქმედებას, ეს კი სერიოზულად აკნინებს კურორტის იერსახეს (ყოფილი სასტუმროები: „ბორჯომი“, „თბილისი“, სანატორიუმები: „ლიკანი“, „კომპოზიტორთა სახლი, ტურბაზა „პლატო“ და სხვა მრავალი).

მუნიციპალიტეტის მერმა ოთარ არბოლიშვილმა ამომწურავი პასუხი გასცა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოთქმულ პრობლემებს და განაცხადა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში ასახული იქნება პრობლემათა უმრავლესობის აუცილებლად გადაწყვეტა.

დასაბუთდა ოთარ არბოლიშვილმა შეხვედრის მონაწილეებს აცნობა, რომ მომავალ წელს ბიუჯეტი დემოკრატიული ვითარების გაუმჯობესების მიზნით ითვალისწინებს, ახლადბეულ ბაგეზე ჯილდოდ გაიცეს 1000 ლარი, რაც დამსწრე საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ **ზაურ ლაზარაშვილი, თანავალი ორთოიძე, ელგუჯა ორგონიძე, ციალა წაჩილაშვილი, ნოდარ ნოზაძე** და სხვები.

ოთარ არბოლიშვილმა მადლობა გადაუხადა შეხვედრის მონაწილეებს გულახდილი დიალოგისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი საქმიანი შეხვედრები მომავალშიც სისტემატურად გაიმართება, რათა ყველამ ერთობლივად ვიზუონით მშობლიური ქალაქის აღმშენებლობისათვის. მინდა ბორჯომის საზოგადოებამ იცოდეს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი კვლავ იქნება აღმშენებლობის და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული.

ვალერიან ლომიძე.

ინფრასტრუქტურული პროექტები სოფლებს

საკურორტო სოფელ ცემში და სადგერში, შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ჯამში, სამივე უბანში 520 მეტრ სიგრძეზე არმირებული ბეტონის საფარი დაიგება. სამუშაოები სოფელ ცემში დასრულდა, ხოლო სადგერში მიმდინარეობს.

გზის რეაბილიტაციისთვის 263 261 ლარი გამოყოფილი.

სამუშაოებს შპს „ბილტმორა“ ასრულებს.



სოფელ ტიმოთესუბანში სკვერის მოწყობის სამუშაოები დასრულდა. ადგილზე მოწყობილი დასასვენებელი სივრცე და ბილიკები ბუნებრივი ქვით, ასევე დამონტაჟდა მაგადა, სკამი, ნაგვის ურნა და გარე განათების ლამპონები.

სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 113 000 ათასი ლარი გამოიყო.

ჩატარებულ სამუშაოებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე** და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ.

ბაკურნიანში, ნაქაძის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია დასრულდა. აღნიშნულ ინფორმაციას ბორჯომის მერია ავრცელებს.

მერიის ცნობით, ჯამში, 440 მეტრ სიგრძეზე არმირებული ბეტონის საფარი დაიგო. გზის რეაბილიტაციისთვის 348 946 ლარი გამოიყო.

სამუშაოები შპს „ბილტმორა“ შეასრულა. მიმდინარე წელს შიდა საუბნო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფელ სადგერში, ყვიბისში, ცემში, საკირეში, ვარდგინეთში, ბუშეთში და ტბაზე დასრულდა.

ამასთან, მოლითში, სადგერში და დგვარში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ახლაც მიმდინარეობს.



„ოქროს ნერაყინი“ ქართულ მთამსვლელებს



ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ბორჯომელ მთამსვლელებს, **ბაძარ გელაშვილს** ულოცავს უმაღლესი სპორტული ჯილდოს „ოქროს ნერაყინის“ მოპოვებას.

ქართული ალპინიზმის ისტორიაში პირველად, ქართველი მთამსვლელების, **ბაძარ გელაშვილის, არჩილ ბაძარიაშვილის** და **გიორგი ტყეშელაშვილის** მიერ განხორციელებულმა ასვლამ უმაღლესი სპორტული ჯილდო - „ოქროს ნერაყინი“ მოიპოვა. 18-20 ნოემბერს მსოფლიოს „ოქროს ნერაყინის“ დაჯილდოება საფრანგეთის ქალაქ ბრიანსონში გაიმართა.

არჩილ ბაძარიაშვილმა, გიორგი ტყეშელაშვილმა და ბაძარ გელაშვილმა მწვერვალი სარაგრაო, რომლის სიმაღლეც 7 300 მეტრია, წარმატებით დასაძლევად უნიკალური მარშრუტი გამოიყენეს, რაც საერთაშორისო ფიურის მხრიდან განსაკუთრებულად შეფასდა.

ქართული ალპინიზმის ისტორიაში ეს პირველი მსოფლიო „ოქროს ნერაყინია“ და აღნიშნული წარმატება ჩვენი მთამსვლელობითი კულტურის უდიდესი აღიარებაა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ იუნესკომ ალპინიზმს 2019 წლიდან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

განმარტებითი ბარათი

საქართველოს დაგეგმვის პროექტზე „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის გეგმის დაგეგმვის შედეგები“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასანაწი გადამსახურებების მიზნების განსაზღვრას.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასანაწი გადამსახურებებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება სორციელდებულია ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მისალოდნელი შედეგები:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადამსახურებების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკურ პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსაზღვრული მონიშნულებებისა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური სტატისტიკის მერ 2023-2026 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2023 წლის სახელმწიფო

ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2023 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 10,3 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრულია ასიგნებების ზრდა შესაბამისად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 151 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 28 250,8 ათასი ლარით. მათ შორის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 13 450,0 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გაგვირ მანქანების შედარებით 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 3 095,0 ათასი ლარით (29,9-ით).

2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი საგადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

● დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 000,0 ათასი ლარით.

● 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებლებთან შედარებით დღგ გაზრდილია 161,8-ით (3 090,0 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მისალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

● ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 8 450,0 ათას ლარს;

● 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 0,06-ით (5,0 ათასი ლარით) გაიზარდა.

● 2023 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი საგადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

(გაჩაქაბა მერიის განყოფილება)

განმარტებითი გარათი

(გაბრძელება)

გრანტების სახით დაგეგმილი მანქანების განსაზღვრება 250.0 ათას ლარით, მათ შორის:

- სხვა დონის სახელმწიფო ბიუჯეტიდან (დელეგირებული უფლებამოსილებებისათვის) 250.0 ათას ლარი.
- შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 14 250.0 ათას ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - პროცენტები 550.0 ათას ლარი
 - რენტა 11 030.0 ათას ლარი
- შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 1 534.1 ათას ლარის ოდენობით, მათ შორის:**
 - სახეპარტოვო მოსაკრებელი 134.1 ათას ლარი.
 - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1 000.0 ათას ლარი.
 - ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 370.0 ათას ლარი.
 - შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების განკვეთიდან 30.0 ათას ლარი.
- შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1 000.0 ათას ლარის ოდენობით, მათ შორის:**
 - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 160.0 ათას ლარი;
 - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 120.0 ათას ლარი;
 - საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 720.0 ათას ლარი.
- ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 136.7 ათას ლარის ოდენობით, მათ შორის:**
 - მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 136.7 ათას ლარი;
 - არაფინანსური აქტივების კლების (პრეავტაზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 300.0 მლნ ლარს:**
 - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები:**
 - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 28 250.8 ათას ლარს (2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 2 806.8 ათას ლარით).
 - პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:**
 - პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის განვითარება - 8 488.3 ათას ლარი;
 - საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 2 060.0 ათას ლარი; მათ შორის განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია:
 - 2023 წელს რეგ.ფონდიდან დასაფინანსებელი საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტების თანადაფინანსება 180.0 ათას ლარი.
 - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ.დგვარში შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 450.0 ათას ლარი.
 - დაბა ბაკურიანში ნაქაძის ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია (II მონაკვეთი) 100.0 ათას ლარი -
 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცენტრალურ ქუჩებზე არსებული ლობების რეაბილიტაცია 200.0 ათას ლარი;
 - მუნიციპალიტეტში დამონტაჟებული გარეუვიდო სამეთვალყურეო კამერების შექმნა მოვლა-პატრონობა 630.0 ათას ლარი.
 - საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა 500.0 ათას ლარი.
 - წყლის სისტემების განვითარება-781.0 ათას ლარი;**
 - განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია
 - 2023 სოფ.ციხისჯვარში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია 135.0 ათას ლარი
 - (აიპ) ბორჯომის სოფლის წყალი 646.0 ათას ლარი.
 - გარე განათება 1 142.0 ათას ლარი**
 - განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია.
 - გარე განათების ელექტრო ენერჯის ხარჯი 800.0 ათას ლარი.
 - (აიპ) ბორჯომის გარე განათება 342.0 ათას ლარი.
 - მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია 1 150.0 ათას ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2023 წელს
 - 2023 წელს რეგ.ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ცენტრალურ ქუჩებზე არსებული შენობების ფასადების რეაბილიტაციის თანადაფინანსება 150.0 ათას ლარი;
 - 2023 წელს რეგ.ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ცენტრალურ ქუჩებზე არსებული შენობების ფასადების რეაბილიტაციის თანადაფინანსება 150.0 ათას ლარი;
 - ზინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხერხშენების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი შენობების სახურავების გადახურვა, სადარბაზოების კეთილმოწყობა და სხვა. 529.0 ათას ლარი;
 - სოფ. ყვიბისში ენ. კვაზიან ლელეზე

ნაპირდაშენი კედლის მოწყობა 471.0 ათას ლარი;

კეთილმოწყობის ღონისძიებები 765.3 ათას ლარი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობა 150.0 ათას ლარი

2023 წელს რეგ.ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების სკვერების კეთილმოწყობის თანადაფინანსება დაბა ახალდაბაში სანაპიროზე სკვერის მოწყობა 200.0 ათას ლარი

ა(აიპ) ბორჯომის გამწვანება 2012 304.2 ათას ლარი

ა(აიპ) სასაფლაოების მოვლა პატრონობა 111.1 ათას ლარი

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება 1 605.0 ათას ლარი

მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება 1605.0 ათას ლარი

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა 700.0 ათას ლარი

დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტის ხარჯები განსაზღვრულია 400.0 ათას ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება (300 ათას ლარი).

დასუფთავება და გარემოს დაცვა 2 049.9 ათას ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვიდასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნებრივიდასაფრთხილები ორგანიზაციების ხარჯების შეგროვება და გატანა. აღნიშნულ ღონისძიებას ახორციელებს ა(აიპ) ბორჯომის დასუფთავება.

სამოქალაქო ბიუჯეტი 285.0 ათას ლარი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ.სადგვირიდან გოგირდის აბანოზე ჩასასვლელი საფეხმავლო ბილიკის რეაბილიტაცია 105.0 ათას ლარი;

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ.ცემში არსებული ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია 180.0 ათას ლარი.

განათლება 3 524.7 ათას ლარი.

სკოლაშენილი განათლება 3 272.2 ათას ლარი.

საჯარო სკოლების ფინანსური დახმარება და რეაბილიტაცია - 152.5 ათას ლარი (ბაკურიანის საჯარო სკოლის ქარა).

საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება 100.0 ათას ლარი.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 4 776.6 ათას ლარი.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1 618.6 ათას ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ფინანსური თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს. ამ პროგრამით განხორციელდება:

- ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო სკოლა - 831.0 ათას ლარი;
- ა(აიპ) ბორჯომის ფეხბურთი 2013 - 245.8 ათას ლარი;
- რაგბის კლუბი „ტაო“ - 0110.0 ათას ლარი;
- სპორტული ღონისძიებები-317 ათას ლარი;
- ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების სასპორტო შენობების მოწყობა რეაბილიტაცია 400.0 ათას ლარი (ქ. ბორჯომში პლატოზე სპორტული მოედნის მოწყობა).

კულტურის განვითარების ხელშეწყობა 3 073.0 ათას ლარი;

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განხორციელებს სახელოვნო სკოლების, ბიბლიოთეკების და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, კერძოდ:

- ა(აიპ) სკოლისგარეშე სახელოვნო საგანმანათლებლო დაწესებულება ბორჯომის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა - 398.2 ათას ლარი;
- ა(აიპ) ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება - 438.6 ათას ლარი;

ა(აიპ) ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი - 873.1 ათას ლარი;

ა(აიპ) ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკი - 300.0 ათას ლარი;

ეროვნული, სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიებები - 515.0.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა - 263.0 ათას ლარი

მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდობის ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ, სპორტულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განვითარდეს ახალგაზრდობის მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების და ხელოვნების სხვადასხვა დარგში წარმატებული ახალგაზრდობის ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე, მუნიციპალიტეტის მიზანია წარმატებული სტუდენტების მოტივაციის ამაღლების და მათი პროფესიული გაძლიერების მიზნით მათი ნახალისება და ხელშეწყობა.

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა 285.0 ათას ლარი.

საინფორმაციო მომსახურება - 85.0 ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 3 334.2 ათას ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა: 185.2 ათას ლარი

გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება.

- ა(აიპ) ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი - 115.2 ათას ლარი
- უმეტველყოფილ დაზარალებულ პოპულაციას 40.0 ათას ლარი
- ამბულატორიული, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების და პუბლიცარული დახმარების ხელშეწყობა და

რეაბილიტაცია 30.0 ათას ლარი

- სოციალური დაცვა 3 149.0 ათას ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება.
- მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება 1 125.0 ათას ლარი.
- უფასო სასადილოს დაფინანსება 428.5 ათას ლარი.
- ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები 3.6 ათას ლარი.
- მეორე მოწვევითი ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ომში მონაწილე შშმ ვეტერანთა დახმარება 6.0 ათას ლარი.
- ახალდაბადებული ბავშვები ოჯახების დახმარება 200.0 ათას ლარი.
- 18 წლამდე ასაკის ვედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება 3.0 ათას ლარი
- სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფა 36.7 ათას ლარი.
- ღვანულადი ადამიანების დახმარება 3.6 ათას ლარი.
- 18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება 223.2 ათას ლარი.
- მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა 280.0 ათას ლარი.
- სოციალური დახმარებები 539.4 ათას ლარი.
- ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა 250.0 ათას ლარი.
- ბავშვთა დაცვა და უფლებების მხარდაჭერა 50.0 ათას ლარი.

მმართველობა - 6 077.2 ათას ლარი, მათ შორის:

- საკრებულოს დაფინანსება - 1 369.6 ათას ლარი;
- მერია - 3 985.8 ათას ლარი;
- სამხედრო აღრიცხვისა და განკვეთის სამსახური 131.2 ათას ლარი.
- სარეზერვო ფონდი 500.0 ათას ლარი.
- შესყიდვებთან (ტენდერი აუქციონი) დაკავშირებული ხარჯი 15.0 ათას ლარი.
- სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 75.6 ათას ლარი, მათ შორის ძირი 55.6 ლარი და პროცენტი - 20.0 ლარი.

მხარეები დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის პროექტი
	სულ ჯამი	28250.8
01 01 01	საკრებულო	1369.6
01 01 02	მერია	3985.8
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და განკვეთის სამსახური	131.2
01 02 01	სარეზერვო ფონდი	500.0
01 02 04	შესყიდვებთან (ტენდერი აუქციონი) დაკავშირებული ხარჯი	15.0
01 02 06	მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა	75.6
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8488.3
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2060.0
02 02	წყლის სისტემის და საკანალიზაციო ქსელის განვითარება	781.0
02 03	გარე განათება	1142.0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	1150.0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	765.3
02 06	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	1605.0
02 07	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო დოკუმენტაციის შესყიდვა	700.0
02 11	სამოქალაქო ბიუჯეტი	285.0
03 00	დასუფთავება და კეთილმოწყობა	2049.9
04 00	განათლება	3524.7
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	4776.6
06 00	ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა	3334.2
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	185.2
06 02	სოციალური დაცვა	3149.0

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ქრილში

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 5 946.0 ათას ლარი;
- თავდაცვა - 131.2 ათას ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 2 456.1 ათას ლარი;
- გარემოს დაცვა - 2 704.1 ათას ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 5 378.0 ათას ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 185.2 ათას ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია 4 776.6 ათას ლარი
- განათლება - 3 524.7 ათას ლარი;
- სოციალური დაცვა - 3 149.0 ათას ლარი;

„ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2023-2026 წლები);
2. ინფორმაცია 2022 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაციის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
4. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
5. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(აიპ)-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;

შენიშვნა: ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი დამტკიცებამდე ქვეყნდება მოსახლეობის განსახილველად. თქვენი შენიშვნები და წინადადებები შესაბამისი რეაგირებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს. შეგიძლიათ, აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ბიუჯეტის პროექტის განხილვაში.

ლიცეოს უბნის გვერდი



ასალგაზრდა შემოქმედის წიგნის პრეზენტაცია



14 ნოემბერს, თბილისში, საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართა ასალგაზრდა ბორჯომელი პოეტის ნათია ჯიშურაშვილის პოეტური კრებული „ჩემს სულში გაჩენილ ბზარებთან მიგვიშვი“ პრეზენტაცია და საზოგადოებასთან შეხვედრა.

დასამახსოვრებელი და ზღვა ემოციებით დატვირთული დღე გამოვიდა. თითოეულმა გამომსვლელმა დადებითად შეაფასა ასალგაზრდა პოეტის შემოქმედება, ითქვა მრავალი საქებარი სიტყვა ნიჭიერი პოეტის მისამართით.

შეხვედრის დასასრულს ნათია ჯიშურაშვილმა განაცხადა: - მადლობა დამხმარე საზოგადოებას, თითოეულ გამომსვლელს, განსაკუთრებული მადლობა ღონისძიების წამყვანს, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის პრესსპიკერს, ქალბატონ მანანა მოგრიშვილს, რომელმაც სიმბოლურად გადმომცა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრობის მოწმობა, რაც ჩემთვის დიდი პატივი და მაღალი პასუხისმგებლობაა.

ყოფას, მაინც აკვარს, ვინაშეა?

ბილი საჩქელზე ვარსკვლავებს რთავს, ცდილობს წარმატება მოიქსოვოს, მე კი უნებურად სუნთქვას ვიკრავ, მინდა, რომ გზა ღმერთმა დაძლიოს!

უკან კულისებში ქარ-ცეცხლია ტანით აწინაშეა ოვაცია, მხოლოდ ერთი ზრახვა გამჩენია: უფალს თაყვანი ცეცხლ-დავუქოქო! მივალ, გასაუღლები კვლავ ბევრია... ვოი, რა ტყვილებს ვაკალ გული, ნშირად სულიც გამიწამება, ბევრჯერ ქვაც მტროვს მწარედ ზურგში. ყოფა ვაით ამითავეა, ავიღ-ჩავიღოდი წრეზე ბრუნვით, გული დღის? - გამიხარება, ვერვინ თქვა: გაზარდა შვილი ცული. მე კი მინდოდა რა? - სულ მცირედი სინდისის სისუფთავე შეეხორცა, როცა ამქვეყნიდან წავიდოდი, აღამაანობა შემრჩენოდა. მაინც სიქველესთან თუ დავეყვადი,

ბოროტს არ ვეცი და ვეთაყვანე, მისთვის არაერთხელ დავისაჯე, ყოფას, მაინც აკვარს ვენაცვალე! საღვთო დედას, ალბათ, ელიება მამას თავაწულს სულში ვქნები, ცოდვა-მადლის ჩარხთან მეფიქრება: რასაც ვთესდი, ალბათ, იმას ვიძვი! აწი თუვინ სული უფალს მივცე, უკვე დამიჯერებს ეს სამყარო, მხოლოდ პოეზიის პულსით ვიგრძენ რარივ წრეწვლად უნდა შევივარო! გენში ქართველობა ქარბორბლობს მტერმა როგორ უნდა დამაჩოქოს?! მამულს სადღერძოდ შევუბნ ვუწიდი, სადიდგორად ისევ, სამაქორად! მაინც სიქველესთან თუ დავეყვადი, ბოროტს არ ვეცი და ვეთაყვანე, მიტომ არაერთხელ დავისაჯე, ყოფას, მაინც აკვარს ვენაცვალე!

ნათია ჯიშურაშვილი

ნათია ჯიშურაშვილის პოეტური კრების პრეზენტაცია

ბადა

17 ნოემბერს ბადაში 130 წლისათვის აღიწერა

ნოემბრის ჩვიდმეტს დაბადებულა, დაბადებულა კაცი გენია, მისი ყოველი სიტყვა და ფრაზა-მოკვდავთათვის ხომ სწივთა მფენია! გალაკტიონის ძალა და მუსტი წარუძლოლია ქართულ სიტყვაში, მას ვერაფერი ვეღარ ჩაქრობს--ვეღარც წვიმაში, ვეღარც სეტყვაში... დაბადებულა ნოემბრის ჩვიდმეტს, საქართველოს ცა განათებულია, გინდ დაიჯერეთ და გინდა არა--მაშინ რიონიც გადარეულა... გალაკტიონის შემოქმედება გადაულახავ მწვერვალს მაგონებს,



„მე და ლამე“ და „ლორჯა ცხენებმა“ არ მიმატოვეს, ძილშიც მადიდებს. დაბადებულა ნოემბრის ჩვიდმეტს, გზა გაუკვალავთ მის სულში რითიმებს, მე რაღა ვწერო, რაღა ვთქვა მაშინ--ძალა აღარ აქვთ, არა ამ სიტყვებს! დალი პანცაძე

შენი თორი გაღანვეს!

სადა ხარ, ბიჭო, შავლეგო? სადა ხარ? არ გეგურება?! შენი თორი გაღანვეს უსამშობლო ტურებმა! იწვის შენი სლესა და ცას შეჭდავლის შლის ნუკრი, მომეტხმავი სლესართა და მტერს გულში გაუყრი! მინდა მკერდით დავიცვა სლესის სათოფურები, ირმისა და ნიკორას მაკე, სათნო ფურები! სადა ხარ, ბიჭო, შავლეგო? სადა ხარ? არ გეგურება!

მიწისაგან ალგავეს შენი ნათესურები! ვაი, დედაა! - ვბლავი და ტყეში ბლავის ირმისა, ვერაფრით ვერ ჩავიდა ის საბარლო წყლის პირსა! შავლეგო! შენ თუ მიშველი, გააღვიძე უფალი! მიეცე ხმალი შიმშერის და ჩემს ნაცვლად უთხარი, რომ ღმერთს, როცა ეძინა, მტრებმა მაშინ იხუვლეს ფარდა ჩამოხუხურეს!

გვედრები, შავლეგო! მეფე როსტეფანივით, ქვაბისხვის ქვაბულში ღამწვით ქეთევანივით! შენც ხომ გასსოვს შოთაი?! შენც ხომ გასსოვს იაი?! მომივლინეთ წვიმა და ცრემლიანი წვიმა! სადა ხარ ბიჭო, შავლეგო? სადა ხარ? არ გეგურება! მიწისაგან ალგავეს შენი ნათესურები!!!!

მისხეთის უაყაროა

რახანია დამავიწყდა მისამართი შენი, ვზივარ ჩვენს ლურჯ კაფეში და პაემანზე გელი. შენ გგონია ჩაქრა სული, ჩაიფერფლა ვნება?! ის პატარა ფატიონი ახლაც მაგონდება... მე კნენინას მეძახოდნენ, შენ გენერალ სიმუსს, მერხებზე რომ ვწერდით ჩუმად: უდრის, პლიუს, მინუსს. რა მოხდება მოიწერე, მისამართი შენი, ერთი ცოცნაც მოაყოლე, ზედ, ცეცხლივით მწველი... ჯერ ბორჯომ-პარკს ვესტუმრებით, მერე აბასთუმანს, მამაშენი კვლავ ვაგაუქებს, იმ ღამისთვის თუმანს... ისევ ისე, ძველებურად, მოვა გრძნობა ნებით!..



მისხეთში რომ აყვავდება, თეთრად შროშანები. ცეცხლის კაბა ჩაუცვია წითელ ყაყაროსსაც, ისე მკოცნის, ეს სულელიც, ღამის დამახროსა... ვინც ჩაივლის და მოვილის ჩემ მესხეთის მხარეს, დამიკრიფეთ ყაყარო და გულზე დამაყარეთ!!! ციური მისხეთი

სირხხვილი ისეთ გაშკანსა

(უბრაველსობის ბაღის ნახილი)

შვილი გავზარდეთ, ალგვარდეთ, ისეთი როგორც გვიდნოდა, პატრონანი, მშრომელი, ყველგან სიკეთით იღვწოდა. სისარულზე, სიყვარულზე ყოველთვის კარგზე ფიქრობდა, რაც არ უნდა მომხდარიყო, ცუდს არავისზე იტყოდა. ყოველთვის ჩვენით ტკებოდა, ყოველთვის თავს გვევლებოდა, თუ რამე ავტყვიდებოდა, მალამოდ დაგვედებოდა. სახლში, ბაღში, თუ ყანაში სულყველგან გვეშველებოდა, ვისაც კი დასჭირდებოდა სულყველას ეხმარებოდა. უშაღლესიც დაამთავრა, რისთვისაც სულ ოცნებობდა, დავნიშნეთ, დავაქორწინეთ, მასზე, ვინც გულით ელოდა. ვფიქრობდით ტუბილ ცხოვრებაზე, მაგრამ იმედი ნაგვისა, ჩვენ რძალს სოფელი მოსწყინდა, არ შეგვეპუა, აგვისბა. გადამხირა ქმარ-შვილი, გაგვიხდნენ თბილისელები, სოფელს მთლად ზურგი აქციეს, დამგმეს ყოველი ქსელები. მიაგდეს თობიც, ბარიცა, სოფელიც, მინა-წყალიცა, ცხვარიც, ძროხაც და ხარიცა, ჩვენი სახლის და კარიცა. აწი, არავინ ვჭირდებით, არც ჩვენ არც ნათესავიცა, გასვეტდნენ“ არ ვენაღვლებით, თუნდაც გვეჭრებოდეს ტყავიცა. ავადმყოფ, მოხუც მშობლებსა აწ, შვილიც გვევდება სხვაფრად, ცოლისჭკუაზე მაგალი აღარ გვთვლის აღარაფრად. ვხარობდით, გვეყოლებოდა პატრონი სიბერეშია,

პირიქით, სულ მთლად აღმოვჩნდით უდროოდ სიბნელეშია. სირცხვილი მას, მის შვილობასა, როგორ ჩაიჭრა ჩვენთანა, უძლურ მოხუცსა მშობლებსა მთლად შეგვაძულა ცხოვრება. მშობლებს გვარჩია სხვის შვილი, გულცივ-გულგრილი ქალია, სიკეთის დაუნახავი საბაველ-საზოზარია. თურმე მართალი ყოფილა ყველა და ყველაფერია, იქამდე „გვამათხალიმობენ“ მანამდე ხარ ჯანმრთელია. მანამდე შენგან ელიან სოფლის ნობათსა მდიდრულსა, გკოცნიან, გეტმასხენიან ყოველდღე, ყოველ ღამესა. შემოგხედავენ მწარედ, თუ ჭკუთ არ მოიქცევი, გამოგაგდებენ გარეთა. არ დაეძებენ ვინა ხარ, მით უფრო ქმრისა მშობელსა, გეტყვიან, არა გტყვიან, რა მოგვიტანე, რომელსა. შენ თუ არ გქონდა, არა გყავს სოფელში მეზობელია?, გესესხა და ნამოგელო ჩვენთვის რძე, ერბო, ყველია. ასეა უმრავლესობა, ცოდვებს ვერ დავდებთ ობლებსა, სირცხვილი ისეთ ვაჟკაცსა, ცოლი ერჩინოს მშობლებსა. ვისაც ეს ლექსი გეხებათ, გთხოვთ, მოუფერეთ მშობლებსა, ოდესლაც არ გეყოლებათ, თავს ვერ გაართმევეთ ცოდვებსა.

ბურამ მუნციელი (ივანიძე) საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

მინა პართულად ჩერნულას

მინარის ლორჯი ძარღვებით, მზე-მთვარის გულის ცემით ცოცხლობს, სუთიანს და მოლოდინებს, მიწა დედა ჩენი!

ტყეების ქიხორგარცხნილით, ელვების ღრუბლებში სძინავთ, - სიხმრებით, ტკბილი სიხმრებით მიწაც სუთიანს და ფშვინავს; მობილამა ხეებს მიღამოს უნიცხე ყვავილთა ფერით; ცისარტყელების ჩურჩულში ყუყუნა წვიმა მიდრის... ნახ კო, ბუხების გლოვამი ქარი, ვით ხურხა, კეხისას... რა იღუმალ ხმებს გაბოსცემს ცის ფერი ულოლოცა? - მაინც რა ენით საუბრობს, როგორ ამოთქამს ტკვილს? - ქართული ხმები ჩამქმისის, როცა მიდრის თუ ტრანს!

გთხოვთ, დამიჯეროთ: მე, ქართველს, ღვთისმშობლის წილობედრ მიწით, ქართულად მიქორჩილებ: ნე, ბალახი და ჩირბე...

ნე, ბალახი თუ ჩირბე! „მინას“ და „ნეზას“ სამარხმა! შექრს გაუჩინა რქუნა: ადამის დროინდელია ჩემი ქართული ენა!

ენითა ღვთივე ურთხელოთ - ხოსიმეს თეკით მტკიცით, - მეორედ მოსვლის ჭაბიცი განიკითხება მისით!

ის უფლის ძალით ძრ-ფეცობს, „მეც შემოგველე, ნინა“, - ეს ქართულია, ძვირფასო, ჩემი უკვდავი ენა!



გთხოვთ, დამიჯეროთ: მე, ქართველს, ღვთისმშობლის წილობედრ მიწით, ქართულად მიქორჩილებ: ნე, ბალახი და ჩირბე...

ურა ჯანგირაშვილი

1. ღვთისმშობლის წილობედრ მიწით, ქართულად მიქორჩილებ: ნე, ბალახი და ჩირბე... და „ნეზა“ სამარხმა!
2. ივანე ჯავახიშვილი

„ეთიქტომ, დაჯდო ჩემს ნაკალეს“

„რომ მოგვუდები ამ ჭვეუანას ვით ნაყოფი ხესა უწნწში, ვფიქრობ დაჯდოვ ჩემს ნაკალეს ჩემ საყვარელ ხალხის გულში. ჩემი ლექსები, აზრები მოწვეული ჩემს მამულში ისე როგორ მოისპობა არ გადვიდვს სადღაც ხნულში.“



პატრონ-მფარველი გამზრდელი, დღეს თქვენ ხართ ჩვენი იმედი, პატრონ-მფარველი მომეღული. მოდი, კვლავ ძალა შეგემატეთ, ნუ გაგვიტყობთ კერასა, თქვენთან სიკვდილი გვირჩენის, უთქვენოდ შეება, ლხენასა. ნუ დაგვიმწუხრებთ სახლ-კარსა, თქვენს აკვანს, თქვენსა ბუღესა, ნუ დაგვიმარგავთ მხნეობას, რწმენას, იმედს და ნუგეშსა. ნუ მიგვატოვებთ შვილებო, თქვენც ნუ დაიღებთ ცოდვასა, განა რამდენხანს ვიცოცხლებთ, სირცხვილი ასეთ ყოფასა. უთქვენოდ ჩვენი სიცოცხლე, და თანაც სიბერეშია, სიკვდილ-მისჯილთა ხვედრია, უმზეო სიბნელეშია. ასე რომ, ისევ და ისევ გულით, სულით გთხოვთ შევლასა, ნუ დაგვიმწუხრებთ მშობლებსა. ისე ვით მწარეობლებსა. ნუ გავვიმძაფრებთ წუხილსა, მწარე ცრემლების დენასა, თქვენთან სიკვდილი გვირჩენის, უთქვენოდ შეება-ლხენასა.

ნუ მიგვატოვებთ შვილებო!

ნუ მიგვატოვებთ შვილებო, გაფიცებთ ღმერთსა გამჩენსა, ჩვენც ხომ პატრონი გვეჭირდება, ვით უპატრონი ბავშვებსა. მოხუც, ავადმყოფ მშობლებსა ნუ გვადვრევიანებთ ცრემლებსა, ძალღონე გამოლელნი ვიღას ვჭირდებით თქვენს მეტსა. ხან რა გვაწუხებს და ხან რა, არც ცოცხლებში ვართ, არც მკვდრებში, თქვენა ხართ ჩვენი იმედი, ყოფნა გვეჭირდება თქვენს გვერდში. ოდეს თუ ვიყავთ ჩვენ თქვენი,

